

სკოპინგის დასკვნა N 31

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „რუსთავის აზოტი“ (ს/კ 404519794);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 28.03.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს „რუსთავის აზოტმა“, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკოპინგის განცხადება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს დამატებითი სიმძლავრით მომარაგების მიზნით, დაგეგმილია 220 კვ ძაბვის ქ/ს „რუსთავი-220“-ის დაკავშირება სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს 110 კვ ძაბვის ქვესადგურებთან („ქ/ს-02“-თან და „ქ/ს-01“-თან), რისთვისაც გათვალისწინებულია 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა, ჯამური სიგრძით 6645 მ. საპროექტო ეგხ-ის დერეფანი მოიცავს რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს (სოფ. ახალი სამგორი). საპროექტო ეგხ დაყოფილია ორ მონაკვეთად: პირველი მონაკვეთის სიგრძეა 5 785მ, მეორე მონაკვეთის - 860მ. პროექტის ფარგლებში ჯამურად მოეწყობა 36 ერთეული საყრდენი ანძა (I-მონაკვეთი 30, II-მონაკვეთი 6). ეგხ-ის საწყისი წერტილი მდებარეობს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებული 220 კვ ძაბვის ქ/ს „რუსთავი-220“ ქვესადგურთან (ს/კ 81.13.01.168), რის შემდეგაც ეგხ-ის დერეფანი უკავშირდება სს „რუსთავი აზოტის“ კუთვნილ ქ/ს-02-ს (ს/კ 02.07.01.827) და მიემართება საბოლოო წერტილისკენ სს „რუსთავის აზოტის“ ქ/ს-01-თან (ს/კ 02.07.01.827). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის დერეფანი რამდენიმე მონაკვეთში კვეთს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, კერძოდ: საყრდენი N2-თან (X-501894; Y-4602460) ეგხ კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს (ს/კ: 02.00.951), საყრდენი N8 (X-503494; Y-4601840) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ საკუთრებაში არსებულ წყალსაცავს (ს/კ 81.13.01.180), N10 (X-503757; Y-4601690; N11: X-503765; Y-4601400) კვეთს შპს „რუსთავი ფოლადის“ ეგხ-ს (ს/კ 02.00.022), N16 ანძას შორის გამავალი ეგხ-ს ტრასა კვეთს კვლავ 110 კვ სიმძლავრის ელექტროგადამცემ ხაზს „ბოჭკო 2“-ს (ს/კ: 02.00.949), საპროექტო დერეფანი დაახლოებით 680 მეტრის მანძილზე კვეთს

კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს (8 ნაკვეთი) (ს/კ 02.05.03.444; 81.13.19.299; 81.13.19.218; 02.05.03.715; 02.05.03.480; 02.05.03.481; 02.07.01.608 და 81.13.23.221). უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ქ. რუსთავი) საპროექტო ეგზის დერეფნიდან დაშორებულია 60-80 მეტრით.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ადგილმდებარეობის, ეგზ-ის ტიპის და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივები.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ეგზ-ს მოწყობის ფარგლებში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილი არ არის. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამშენებლო ბანაკის მოწყობა არ არის გათვალისწინებული. საპროექტო ეგზ-ის მშენებლობა მოხდება ძირითადად ოთხი უბნიდან, სადაც განთავსებული იქნება სამშენებლო მასალების დროებითი საწყობები. GPS კოორდინატები: X-504772, Y-4598812; X-504868, Y-4598880; X-504842, Y-4598923; X-504738, Y-4598861.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო საყრდენი ანძების მოწყობის ადგილების მცენარეული საფარისგან გასუფთავებას, გარკვეულ მონაკვეთებში საყრდენი ანძების განთავსების ადგილამდე მისასვლელი გზების მოწყობას, ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობებას, საპროექტო საყრდენი ანძების მონტაჟისთვის ფუნდამენტების მოწყობას (გრუნტის სამუშაოები), საყრდენების მასალების ტრანსპორტირებას, მშენებლობისათვის საჭირო მასალების დასაწყობებას, რკინაბეტონის კონსტრუქციის აწყობას, დამონტაჟებას, სადენების გაჭიმვას. სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდება მშენებლობისას გამოყენებული დანადგარ-მექანიზმების დემობილიზაცია, ტერიტორიიდან გატანილი იქნება სამშენებლო ნარჩენები, შესრულდება მშენებლობის პროცესში დაზიანებული ტერიტორიების (ანძის განთავსების ადგილები, მისასვლელი გზების დერეფნები) რეკულტივაციის სამუშაოები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიები ძირითადად უზრუნველყოფილია მისასვლელი გზებით. თუმცა ეგზ-ს დერეფნის პირველი მონაკვეთის ზოგიერთ ანძასთან გათვალისწინებულია 4,5 მ სიგანის მისასვლელი გზების მოწყობა. პროექტის ფარგლებში, ჯამურად მოსაწყობი გზების სიგრძე იქნება 2.7 კმ.

დოკუმენტის თანახმად, მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მაქსიმალური რაოდენობა ანძების მოწყობის ტერიტორიაზე დაახლოებით იქნება 270 მ³, ხოლო დროებითი მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოებისას მოხსნილი ნაყოფიერი ფენის მოცულობა დაახლოებით 1232 მ³ იქნება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სამეურნეო წყალმომარაგებისთვის, სასაწყობო ტერიტორიაზე განთავსდება წყლის სამარაგო რეზერვუარები. მშენებლობის ეტაპზე

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების შესაგროვებლად მოწყობილი იქნება 5 მ³ ტევადობის ჰერმეტიკული სეპტიკური რეზერვუარი და ბიო-ტუალეტები.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა მოხდება მოძრავი ავტოცისტერნის საშუალებით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, ასევე ვიბრაციისა და ხმაურის გავრცელება, რაც დაკავშირებულია სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან და ტექნიკის მუშაობასთან. სამუშაოების სპეციფიკის, მასშტაბისა და ვადების გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში მაკვნი ნივთიერებების გაფრქვევით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ გამოვლენილა. ეგხ-ის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში. დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ეტაპზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მშენებლობის ეტაპზე წარმოსაქმნელი ნარჩენების სახეობების, რაოდენობისა და მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო არეალის კვლევის დროს არ გამოვლენილა ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული გადაშენების (EN / CR) საფრთხეში მყოფი მცენარეთა სახეობები, საპროექტო არეალის უმეტეს ნაწილში წარმოდგენილია ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გარდაქმნილი ლანდშაფტები. საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს.

ფაუნისტური კვლევის შედეგების მიხედვით, ეგხ-ის მშენებლობის შედეგად გამოწვეული განსაკუთრებული ზემოქმედების ქვეშ მყოფად ჩაითვალოს ორნითოფაუნის წარმომადგენლები. უშუალოდ ზემოქმედების ზონაში შესაძლოა მოექცეს 147 სახეობის ფრინველი, აქედან 25-მდე სახეობა სავსე კვლევის დროსაც დაფიქსირდა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მიგრაციისას ან საკვების მოპოვების დროს მოხვდებიან ეროვნული და საერთაშორისო (IUCN) ნუსხებით დაცული სახეობები,

თუმცა აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საბინადრო და საბუდარ გარემოს აღნიშნული სახეობებისთვის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე რუსთავისა და კასპის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების შენობების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 19 აპრილს რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში და გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალი სამგორის ადმინისტრაციულ შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს „რუსთავის აზოტის“, შპს „გამა კონსალტინგის“, რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დაინტერესებული საზოგადოების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა ანძების სიმაღლეს, ახალი სამგორის ტერიტორიაზე ანძების რაოდენობის, ელექტრომაგნიტური გამოსხივებისა და მიწათსარგებლობის საკითხებს, რაზეც შესაბამისი განმარტებები გააკეთეს სს „რუსთავის აზოტისა“ და შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი

ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ეგზ-ის ტიპის ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზმ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ეგზ-ის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ- ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- დაგეგმილი საქმიანობის აღწერა, მათ შორის ინფორმაცია საპროექტო ეგზ-ის სიგრძისა და საყრდენი ანძების რაოდენობის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით (მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იქნეს შპს “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდთან” და ელექტროგადამცემი ხაზების მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია);
- საპროექტო ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი და ინფორმაცია ეგზ-ის განთავსების ტექნიკური პირობების შესახებ (საყრდენი ანძების კონსტრუქციებისა და სადენების ტიპების, საყრდენების დამონტაჟების პირობებისა და სამირკვლების პარამეტრების მითითებით);
- საპროექტო ეგზ-ის დერეფნის shp ფაილები, საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდების მითითებით);
- ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- დაზუსტებული მანძილი საპროექტო ეგზ-ის დერეფნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;

- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ. ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე და shp ფაილებზე ასახვით) შესახებ, მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
- საპროექტო ეგზ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი და მუშაობის ხანგრძლივობა. ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდებისა და ლიტერატურის შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;

4.1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა- გრაფიკი;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილების შესახებ (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გრუნტის/ფუჭი ქანების რაოდენობისა და მათი მართვის საკითხების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა და დანადგარების შესახებ;

- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ (მოსაწყობი გზების სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით), გზების პარამეტრებისა მითითებით, ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

4.2. გეოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის
- მონაკვეთის პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

4.3. გზმ-ის ანგარიშში, ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ფრინველებზე (განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;
- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის შერჩეული ალტერნატივა კვეთს წყალსატევს (ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც ტბორი), რომლის ფართობი 4 ჰექტარია, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია, ტბორის, როგორც ფრინველებისთვის მნიშვნელოვან ეკოსისტემაზე. ასევე პროექტის განხორციელებით ფრინველებზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და შემარბილებელ ღონისძიებებზე, მათ შორის ელექტროგადამცემ ხაზებზე ფრინველთა დამაფრთხობელი მოწყობილობების განთავსებასთან დაკავშირებით (აღსანიშნავია,

რომ სკოპინგის ანგარიშში მოცემულ ფოტოებზეც ჩანს ფრინველთა წყალსატევზე არსებობის ფაქტები). ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, მათ შორის ცხოველებზე, ასევე ფრინველების სიკვდილიანობაზე (მაგალითად: ელექტროსადენებთან შეჯახებით) და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;

- სკოპინგის ანგარიშში ალტერნატიული ვარიანტების დასაბუთებიდან გამომდინარე, განხილული უნდა იქნეს საქმიანობის პირველი ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით განხორციელების საკითხი, რომელიც გადის მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ვიწრო დერეფანში და ცხოველებზე, განსაკუთრებით ფრინველებზე ნაკლები ზემოქმედების მქონე იქნება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ანგარიშში უნდა აისახოს დეტალური დასაბუთება და ალტერნატივების შედარება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კუთხით. გზშ-ს ანგარიშში ასევე უნდა აისახოს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ამსახველი დეტალური ინფორმაცია, სათანადო პრევენციული ქმედებების აღწერით;

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ამასთან, მითითებული უნდა იყოს შესაძლო ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება (ხმაურის გავრცელების სიხშირე და დონე), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შესაბამისი დასაბუთებით და საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ზე (არსებობის შემთხვევაში);
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე ზემოქმედების ჭრილში), მიმდებარე არსებული ობიექტების გათვალისწინებით, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

5. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა მოხდება მოძრავი ავტოცისტერნის საშუალებით. წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია საწვავის გამართვის დროს საწვავის დაღვრის პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- გვ. 26-ზე მოცემულ სიტუაციურ რუკებზე (სურათი 4.3.3.1 და სურათი 4.4.4.2) დატანილი არ არის ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით დაგეგმილია 110 კვ ორჯაჭვიანი საჰაერო ანძის მოწყობა, თუმცა მე-19 გვერდზე მითითებულია რომ გათვალისწინებული 110 კვ ერთჯაჭვიანი საჰაერო ანძის მოწყობა, აღნიშნული საკითხი დაზუსტებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის (შესაბამისი დასაბუთებით) „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია, ასევე ქ. რუსთავის მერიის ინფორმირებისა და შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს „რუსთავის აზოტის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.